

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს
კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„საქართველოს საზღვაო კოდექსში“ ცვლილებათა შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადება განაპირობა „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

„საქართველოს საზღვაო კოდექსის“ „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის თანახმად, საზღვაო დარგის ტექნიკურ რეგულირებას საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის ნაცვლად განახორციელებს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახლებურად ყალიბდება კანონის მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია საქართველოს სახელით ახორციელებს დროშის სახელმწიფო და საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, ქმნის მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების ერთიან სისტემას, ახორციელებს სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელობას და სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის ორგანიზაციას.

კანონპროექტის მიხედვით, კანონის ტექსტში სიტყვები „საზღვაო ადმინისტრაცია“ იცვლება სიტყვებით „ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არანაირი გადასახადის, მოსაკრებელის, ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი არ არის განსაზღვრული

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, პარლამენტარებთან და მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასება კანონპროექტს არ გააჩნია

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი